

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
ბანკითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა

სამოქმედო გეგმა

2021

სარჩევი

შესავალი	1
----------------	---

საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა	1
---	---

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხედვა, პრიორიტეტული ამოცანები და აქტივობები	3
---	---

ამოცანა 1 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შშმ პირების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში	4
---	---

ამოცანა 2 - ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება	5
--	---

ამოცანა 3 - მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის და დასაქმების ხელშეწყობა	6
--	---

ამოცანა 4 - ადაპტირებული ბიზნეს და საინფორმაციო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა	7
--	---

ამოცანა 5 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	8
---	---

ამოცანა 6 - ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ცნობიერების ამაღლება	10
---	----

სამოქმედო გეგმა	12
-----------------------	----

მონიტორინგი და ანგარიშგება	12
----------------------------------	----

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმას 2021 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2021 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას და ინკლუზიური ეკონომიკური გარემოს შექმნას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები, ასევე სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები (სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ საქართველოს ავიაცია“) და სს „საქართველოს რკინიგზა“. უწყებათაშორისი კოორდინაციის ფარგლებში, დოკუმენტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. პრინციპის „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ აღსრულების მიზნით, აღნიშნული სამოქმედო გეგმა წარედგინება შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და შშმ თემის წარმომადგენლებს, აგრეთვე უზურველყოფილი შშმ პირთა აქტიური მონაწილეობა შემდგომი სამოქმედო გეგმების შესამუშავებისას.

საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

სამოქმედო გეგმა ერთის მხრივ, ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და მდგრადი განვითარების მიზნები, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნულ კანონმდებლობას, როგორიცაა საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11 (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის¹ (UN CRPD) რატიფიკაცია განახორციელა, რითიც ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და აიღო რიგი ვალდებულებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო და

¹ The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities

ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების გზით, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის ცვლილებით.

ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2015 წლიდან დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების² (SDGs) ნაციონალიზაციის პროცესი. აღნიშნული მიზნების შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს წევრი ქვეყნების მთავრობების, საკანონმდებლო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა მიმართულია გაეროს ყველა წევრი ქვეყანისთვის უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვას არაერთი მიზანი და ამოცანა ეხმიანება (მიზანი 3, მიზანი 4, მიზანი 5, და სხვ.). მათ შორის ორი მიზანი ეკონომიკურ გაძლიერებაზე აკეთებს აქცენტს. კერძოდ:

მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

მიზანი 10 - სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებითა და ხელშეწყობით, ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე და მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მიმართებით. კერძოდ:

მუხლი 28. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შესაბამის უწყებებთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობ სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მხარდაჭერას, აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს შესაბამის სამშენებლო სტანდარტებში/რეგლამენტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებისადმი გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის სტანდარტებით ადაპტირების სავალდებულო მექანიზმების შემუშავებაში.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს

² Sustainable Development Goals (SDGs)

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (შემდგომ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისას უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას.

3. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და შესაბამის სფეროში მომუშავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტთა მონაწილეობით, უზრუნველყოფს:

ა) მის მიერ შექმნილი ან/და დაპროექტებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში;

ბ) მისი ოფიციალური ვებგვერდისა და მის მიერ შემუშავებული აუდიოვიზუალური მასალის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებას.

კანონი, აგრეთვე, ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ დასაქმების სფეროში ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების შექმნას, რომლებიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითდასაქმებისა და საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისაკენ (მუხლი 26).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხედვა, პრიორიტეტული ამოცანები და აქტივობები

ხედვა

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ინკლუზიური გარემოს შექმნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს შესაძლებლობას თანაბრად იყვნენ ეკონომიკურად აქტიურები, იხდიდნენ გადასახადებს და ფუნქციონირებდნენ როგორც საზოგადოების სრულყოფილი წევრები

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შიდაუწყებრივ სამოქმედო გეგმას 2021 წლისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, 2021 წლის განმავლობაში გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული ამოცანები:

ამოცანა 1 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შშმ პირების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული და აქტიურად ჩართული მათთან დაკავშირებული პოლიტიკის, კანონების და სერვისების ფორმირებისა და დანერგვის პროცესის ყველა ეტაპზე.

გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ინკლუზიურად უნდა მიმდინარეობდეს, სამინისტრო მიზნად ისახავს ჩართოს შშმ პირები პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის როგორც უწყებრივი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ასევე მათი აღსრულების ეტაპებზე.

პრინციპის, „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ პრაქტიკაში ასახვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიმუშავებს პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას და მათ უფლებათა დაცვას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სამინისტროს ხელმძღვანელობით შეიქმნება საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შშმ თემის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები გაიმართება წელიწადში მინიმუმ ორჯერ. შეხვედრების ფარგლებში, მოხდება მსჯელობა განხორციელებული აქტივობების, შესაძლებლობების განვითარების თუ სამომავლო ნაბიჯების შესახებ. ამავე ფორმატის ფარგლებში, დაიწყება ერთობლივი მუშაობა მომდევნო წლის (2022) სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ შშმ პირთა ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას უშუალოდ პირველწყაროსგან, რაც თავის მხრივ, პოზიტიურ გავლენას მოახდენს პოლიტიკის ეფექტურობასა და მიზნობრიობაზე.

ამოცანა 2 - ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება

ინკლუზიური ტურიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფს ტურისტებისთვის თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილების, ტურისტული მომსახურებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას. ამასთან, უნივერსალური დიზაინი, ფიზიკური გარემოს და ტურისტული სერვისების მისაწვდომობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობის ხელშეწყობს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ინკლუზიური ტურიზმი მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი განუხრელად მზარდი სეგმენტია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა იმ ეკონომიკური სარგებლის გამოც, რომელიც თან სდევს ინკლუზიური ტურიზმის განვითარებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის WHO მონაცემებით, დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი, მსოფლიო მოსახლეობის 15% , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (2011).

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით 2015 წელს შემუშავდა ტურიზმის სფეროს 10 წლიანი სტრატეგია. დოკუმენტის მთავარი მიზანია ტურიზმის მნიშვნელობის ამაღლება და მისი მდგრადი განვითარება, ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და მათი პოზიციონირება, მიზნობრივი ბაზრების დივერსიფიკაცია და აღნიშნული ბაზრებიდან შემოსული ვიზიტორების ვიზიტების ხანგრძლივობის ზრდა და შემოსავლების გენერირება. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობებზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს და საზომ ინდიკატორებს. საქართველომ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, თუმცა ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისები ვიზიტორთა ამ ჯგუფის მომსახურებისთვის ჯერ მზად არ არის. ამდენად, 2021 წელს მოხდება "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" გადახედვა და მასში ახალი გამოწვევების გათვალისწინება - რაშიც ასევე, იგულისხმება ტურისტული პროდუქტა და მომსახურების განვითარების პროცესში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება.

ინკლუზიური სერვისების განვითარება ყველა მომხმარებლისთვის, სამართლიანი და მისაწვდომი გარემოს შექმნის პარალელურად, საჭიროებს ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის შესაბამისი განათლებისა და უნარების არსებობას შესაბამისი სერვისის მისაწოდებლად. ამდენად, დღის წესრიგში დგას ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და პროგრამების სისტემატიური ჩატარება სახელმწიფო უწყებებსა და ექსპერტების მონაწილეობით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საქართველოში ტურიზმის სექტორში დასაქმების ხელშეწყობისა და მომსახურების დონის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიურად უზრუნველყოფს ტურიზმში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას. 2021 წელს დაგეგმილია 2000-მდე ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული და დასაქმების მსურველთა გადამზადება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებებზე მორგებული ბიზნეს პროცესების შემუშავების მიზნით, გათვალისწინებულია ტრენინგ-კურსი, რომლის თემატიკაა „შშმ პირთა მომსახურების უნარ-ჩვევები განთავსების ობიექტებისათვის და

კოვიდ უსაფრთხოების რეგულაციები“. აღნიშნული სატრენინგო კურსი მოიცავს საქართველოს 31 ქალაქსა და კურორტს და მის ფარგლებში, დაგეგმილია 620-მდე პირის გადამზადება.

ამასთან, დღის წესრიგში დგას ოფიციალური ვებ-გვერდისა და შემუშავებული აუდიოვიზუალურ მასალის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირება, რაც შეზღუდული შესაძლებლობების პირების ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ მასალაზე წვდომის შესაძლებლობას მისცემს და სხვადასხვა აქტივობებისა თუ პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ გაზრდის პოტენციურ ვიზიტორთა რიცხვს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს უკვე განხორციელდა ვიდეო-რგოლის - “Summer in Georgia” ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებზე და დანერგილი პრაქტიკა მომდევნო ვიდეო-რგოლის გადაღებების შემდგომაც გაგრძელდება. ასევე, 2021 წლის ბოლომდე დაგეგმილია უახლეს ტენდენციებზე მორგებული ადმინისტრაციის ვებ-გვერდის georgia.travel განახლება და მისი საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება. აღნიშნულ ვებ-გვერდზე მუშაობისას სრულად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები მათი ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებისა და უზრუნველყოფის მიზნით.

ამოცანა 3 - მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის და დასაქმების ხელშეწყობა

სსიპ „აწარმოე საქართველოში“, შშმ პირებისთვის ფინანსებზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის შემდგომი წლების ეტაპებზე დამატებით ქულას მიანიჭებს შშმ პირებს. მაღალი თვითდასაქმების მაჩვენებლის გათვალისწინებით, პროგრამა მეწარმე ან მეწარმეობით დაინტერესებული შშმ პირებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება. მათ შეეძლებათ მოიპოვონ საჭირო დაფინანსება ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოვების მიზნით. წახალისების მსგავსი მექანიზმით, პროგრამაში მონაწილე ქალ მეწარმეთა წილი 2015 წლის 32.8%-დან 2018 წელს 45.1%-მდე გაიზარდა. ამასთან, ამავე პროგრამის 2020 წელს 26 299 განაცხადიდან 12 659 ქალ მეწარმეთა მიერ არის წარდგენილი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით 2020 წელს დაფინანსებულ ბენეფიციართა დაახლოებით 50% შესაძლოა იყოს ქალი მეწარმე.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაქირავებით დასაქმების დაბალი მაჩვენებელი. შშმ პირთა დაქირავებით დასაქმების წახალისების მიზნით, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ 2021 წელს განახორციელებს შემდეგ ცვლილებებს არსებულ პროგრამებში:

- სახელმწიფო პროგრამაში „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ მონაწილე შშმ პირთა დამსაქმებელ მეწარმე სუბიექტს გაათავისუფლებს სქემის მომსახურების საკომისიოს გადახდის ვალდებულებისგან
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დაფინანსებულ საწარმოებს დააკისრებს ვალდებულებას თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატებს შორის, უპირატესობა მიანიჭოს შშმ პირს.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში, მეწარმეები იღებენ დახმარებას სესხის და ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების და სესხის უზრუნველყოფაზე მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ. პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემოსავლების მხრივ III და IV კატეგორიის მეწარმეებს. 2014-2020 წლებში პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში სააგენტოსთან ხელშეკრულება გააფორმა 543-მა ბენეფიციარმა, ხოლო 2020 საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, დარეგისტრირდა 143 მეწარმე.

ასევე, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ შპმ პირების დაქირავებით დასაქმების, სამეწარმეო უნარების განვითარებისა და დასაქმების ადგილზე მათთვის ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, 2021 წელს შეიტანს შემდეგ ცვლილებას სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ტექნიკური დახმარების კომპონენტში, კერძოდ:

- ტექნიკური დახმარების ხარჯის 80%-ის ნაცვლად 100 % ანაზღაურდება, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი, ტექნიკური დახმარების კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე:

ა) დაატრენინგებს შპმ პირს

ბ) დასაქმებული ჰყავს შპმ პირი

გ) კადრს დაატრენინგებს შპმ პირთა საჭიროებების შესწავლის და მათთან ურთიერთობის მიზნებისათვის

დ) შპმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციისგან იღებს ტრენინგს/კონსულტაციას

სააგენტო ასევე, მხარს დაუჭერს შპმ პირთა საჭიროებებზე მორგებულ ეკონომიკურ საქმიანობებს მათი სესხის და ლიზინგის პროცენტის სუბსიდირებისა და საკრედიტო საგარანტიო სქემის პროგრამების მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალში დამატებით.

ამოცანა 4 - ადაპტირებული ბიზნეს და საინფორმაციო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა

გარდა შპმ პირთა პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების ხელშეწყობისა, სააგენტო 2021 წელს უზრუნველყოფს შპმ პირთათვის ბიზნესისა და საინფორმაციო გარემოს ადაპტირების პროცესის დაწყებას. დღეის მდგომარეობით სააგენტოს ვებ-გვერდი და სხვა საინფორმაციო მასალები არ არის ადაპტირებული შპმ პირებისთვის, რაც ზღუდავს მათთვის სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას. ეს თავის მხრივ, იწვევს შპმ პირების სააგენტოს პროგრამებში დაბალ ჩართულობას. შესაბამისად, ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, 2021 წელს განხორციელდება სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის ადაპტირება, მათ შორის მისაწვდომი იქნება ხმოვანი სიგნალები, ვიდეოებს დაერთვება ჟესტური თარგმანი. ხოლო ბუქდვითი მასალა, რომელიც შეეხება სააგენტოს ექსპორტის, ინვესტიციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებს, გამოიცემა შპმ პირები საჭიროებების გათვალისწინებით.

დამატებით, 2021 წელს სააგენტო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ და საკრედიტო საგარანტიო სქემაში ჩართვის ეტაპზე მონაწილეების წინაპირობად განსაზღვრავს ბიზნესის განხორციელების ადგილის შპმ პირთა საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებას.

ამოცანა 5 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

შპმ პირთა უფლებების დაცვა საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისას და ავიასაწარმოთა მიერ რეგულირდება სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესით“. აღნიშნული წესი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ტურ-ოპერატორებს, ავიაგადამზიდველებს და აეროპორტის ოპერატორებს. მაგალითად, ავიაგადამზიდველი ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს აღმოუჩინოს შემდეგი სახის დახმარება: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კუთვნილი გაწვრთვნილი ძალების გადაყვანა საჰაერო ხომალდში; წინასწარი შეტყობინების პირობით სამედიცინო მოწყობილობასთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის არა ნაკლებ ორი გადასაადგილებელი საშუალების გამოყოფა, ელექტრონული ეტლის ჩათვლით; საჭიროების შემთხვევაში, საპირფარეომოდე გადაადგილებაში დახმარება და სხვა. აეროპორტის ოპერატორის დახმარება გამოიხატება შემდეგში: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმღები პუნქტების მოწყობა; საჰაერო ხომალდის კარიდან სავარძლამდე გადაადგილება; საჰაერო ხომალდიდან ჩამოსვლა ლიფტის, ინვალიდის ეტლის და სხვა დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფით, საჭიროებისამებრ და სხვა.

აეროპორტების ოპერატორების შემოწმების მიზანია შპმ პირებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის, გადასაადგილებელი საშუალებების, დასაქმებული პერსონალის სპეციფიკური მომზადებისა და სხვა პირობების შემოწმება, რათა საქართველოს ყველა აეროპორტში იყოს შექმნილი შპმ პირების მომსახურებისთვის შესაბამისი გარემო.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ყოველწლიურად (წელიწადში ორჯერ) ახორციელებს საქართველოში მდებარე აეროპორტების მონიტორინგს (ინსპექტირებას), სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანაგადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“, საფუძველზე, რათა საქართველოს აეროპორტებში სრულად იქნეს დაცული შპმ პირების უფლებები. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება, როგორც აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, შპმ პირების მიღების ადგილების მონიშვნა, შპმ სავარძლების, სპეც. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება შპმ პირების მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება შპმ პირებზე. დარღვევების შესახებ ინფორმაცია შემოდის დაზარალებული პირებისგან ან მათ მიერ უფლებამოსილი პირებისგან. 2017 წლიდან 2021 წლამდე დაფიქსირდა სულ 1 დარღვევა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1-1/586 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების“ მე-2 თავისა და მე-6 თავის მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „საქართველოს

რკინიგზას“ დაეკისრა ვალდებულება, 2017 წლის დეკემბრიდან, ახალი მოძრავი შემადგენლობის შეძენისას ან/და ახალი სარკინიგზო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გაითვალისწინოს შშმ პირთა საჭიროებები და უზრუნველყოს მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი სამგზავრო ვაგონების, რკინიგზის ვაგზლების, სხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარებს მქონე პირებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 29 დეკემბრიდან, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განსახორციელებელი/განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური დავალება ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას.

2017 წლიდან დღემდე განხორციელებულია შშმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირებული შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

ინფრასტრუქტურული ობიექტის დასახელება	წელი
ბათუმის სერვის-ცენტრის მეორე დაბალი ბაქნის რეაბილიტაცია	2017
ურეკის ბაქნის რეკონსტრუქცია	2018
ქობულეთის სერვის-ცენტრის ნავესისა და პირველი მაღალი ბაქნის რეაბილიტაცია	2018
ბლექ სი არენას ახალი მაღალი სამგზავრო ბაქნის (ლითონის კონსტრუქციის) მშენებლობა	2018
წვერმაღალას ახალი მაღალი სამგზავრო ბაქნის (ლითონის კონსტრუქციის) მშენებლობა	2018
ზუგდიდის სერვის-ცენტრის პირველი ბაქნის რეაბილიტაცია	2019
ზუგდიდის სერვის-ცენტრის მეორე ბაქნის რეაბილიტაცია	2019
ყვიბისი ბაქნის რეაბილიტაცია	2020
ქვახვრელის სამგზავრო ბაქნებისა (მაღალი და დაბალი) და პავილიონის რეაბილიტაცია	2020

2021 წელს მოხდება კოპიტნარის სარკინიგზო სადგურის რეაბილიტაცია და შესაბამისად განვითარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სამგზავრო დოკუმენტების შესყიდვის პროცესის გამარტივების მიზნით, 2020 წლის აგვისტოდან დაიწერა ბილეთის ელექტრონულად შესყიდვის პლატფორმა ვებგვერდ TKT.ge-ს საშუალებით. 2020 წლის აგვისტოდან სულ გაყიდულია 6 ბილეთი სავარძელ ეტლით მოსარგებლე პირებზე (Covid19-ის რეგულაციებიდან გამომდინარე საქართველოს

რკინიგზაზე მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებით მგზავრთა გადაყვანა შეწყვეტილი იყო 2020 წლის 18 ნოემბრიდან 2021 წლის 26 თებერვლის ჩათვლით) აღნიშნული ბილეთით სარგებლობა შესაძლებელია შესაბამის მატარებელში (შტადლერში) სადაც არის შშმ პირებისთვის (ეტლით მოსარგებლებისათვის) განკუთვნილი სპეციალური ადგილები - თითო მატარებელში ასეთი ოთხი ადგილია.

2021 წელს, სამგზავრო დოკუმენტების ელექტრონულად შესყიდვის შესაძლებლობის გაფართოების მიზნით დაგეგმილია რკინიგზის ბილეთების რეალიზაციის პროგრამის მოდერნიზება, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მისცემს შესაძლებლობას დამატებითი პლატფორმის, რკინიგზის ვებ გვერდის საშუალებით შეიძინონ ბილეთები. მათ, ასევე, შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ მობილური აპლიკაციითაც.

ამოცანა 6 - ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ცნობიერების ამაღლება

2021 წლის პირველ მარტამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის საკითხებს აწესრიგებდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება, რომელიც არ შეიცავდა ნორმებს ყველა სახის ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთა მისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე და ამასთანავე, დეტალურად არ არეგულირებდა სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობებისა და სივრცეების მოწყობის საკითხებს.

ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ მეტად კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც მიმართულია მოაწესრიგოს ყველა სახის შენობა-ნაგებობისა და ღია საზოგადოებრივი სივრცის ადაპტირების საკითხები.

ვინაიდან აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით მომზადებული არქიტექტურული პროექტი ვერ მიიღებს მშენებლობის ნებართვას, მისი გაცნობა ძალზედ მნიშვნელოვანია მშენებლობის პროცესის შეუფერხებლად საწარმოებლად.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში 2020 წლის 5 თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს მთავრობას დაევა „ტექნიკური რეგლამენტის – მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შემუშავება. დონორთა აქტიური ჩართულობით სამინისტროს მიერ მომზადდა ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, რომელიც მიღებულ იქნა 2020 წლის დეკემბერში და ძალაში შევიდა ა/წლის 1 მარტიდან. იგი ეფუძნება უნივერსალური დიზაინის სტანდარტებსა და პრინციპებს, „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობებისა და მოწყობილობების“ (ICC A117.1) სტანდარტებს.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტით ძალადაკარგულად გამოცხადდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების

ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსით განსაზღვრულია სანქციები ტექნიკური რეგლამენტის შეუსრულებლობისთვის, რაც დამატებით ბერკეტს წარმოადგენს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის ქმედითობის და აღსრულების თვალსაზრისით.

რაც შეეხება რეგლამენტის პროექტის შინაარსს, იგი დაყოფილია სხვადასხვა თავებად და აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- რეკრეაციული საშუალებების მისაწვდომობის უზრუნველყოფა, მოთხოვნები ატრაქციონების, სარეკრეაციო-სანაოსნო საშუალებების, სავარჯიშო მოწყობილობების, სათევზაო პირსებისა და ბაქნების, გოლფის სათამაშო მოედნების, ბავშვთა სათამაშო ტერიტორიების, საცურაო აუზების მიმართ;
- მოთხოვნები საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულებისადმი;
- ეტლისათვის განკუთვნილი მოსატრიალებელი სივრცე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სავალი ბილიკები, პანდუსების, ლიფტების მოწყობა;
- მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები;
- რეგულაციები ტაქტილური ნიშნებისადმი, როგორც ამობურცული ნიშნებისადმი, ასევე ბრაილისადმი და ასეთი ნიშნების განთავსების არეალები, როგორც შენობა-ნაგებობებში, ასევე მათ გარეთ, ასევე, ბანკომატებისა და ჩასარიცხი აპარატებისადმი განსაზღვრული მითითებები;
- სპეციფიური სახის ოთახებსა და სივრცეებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობისათვის მოთხოვნები, თავშეყრის ფართობებზე ეტლისათვის განსაზღვრული მინიმალური პარამეტრები, ეტლისათვის განკუთვნილ ფართობებამდე მისაწვდომი გზების ზომები და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერცერთი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა) თუ ღია სივრცე, ვერ დაპროექტდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინების გარეშე.

გაეროს განვითარების პროგრამისა და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, 2021 წელს განხორციელდება ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის გადამზადდება 300-ზე მეტი ადამიანი, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორიდან. ტრენინგის მონაწილეებისთვის დარიგდება ბეჭდური მასალა და ტრენინგების დასრულების შემდეგ გაკეთდება სანიმუშო პროექტები, ტექნიკური რეგლამენტის გამოყენების გაადვილების მიზნით.

სამოქმედო გეგმა

იხილეთ დანართი #1 „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის 2021 წლის სამოქმედო გეგმა”

მონიტორინგი და ანგარიშგება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლების ჩართულობით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობას გაუწევს კანონით გაწერილი ვალდებულებების შესრულებას.

ამას გარდა, აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები აისახება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში 2021-2023 წლებისთვის, რომლის აღსრულების კოორდინაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო (სამსახური) ახორციელებს. ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგს ყოველწლიურად ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭოს გავლით, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შპმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის საქმეზე გეგმა 2021

#	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ]	დაფინანსების წყარო					საფუძველი/კავშირი სხვა დოკუმენტებთან	
								სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი [ლ]		
								ოდელობა [ლ]	პროგრამის კოდი	ოდელობა [ლ]	ორგანიზაციის დასახელება			
1	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შპმ პირების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში													
1.1	შპმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, ეკონომიკის სამინისტროს პოლიტიკის შემუშავება	დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის	მინისტრის ბრძანება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		I კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი							
1.2	შპმ პირებთან საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა	ჩატარებულია მინიმუმ 2 შეხვედრა	შეხვედრების ოქმები/სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შპმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და შპმ თემის წარმომადგენლები	IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი							
1.3	2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება	შემუშავებული და გაზიარებულია დოკუმენტის სამუშაო ვერსია	დოკუმენტის სამუშაო ვერსია	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი							
2	ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება													
2.1	"საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" - ის ფარგლებში, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების განვითარების პროცესში შპმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება	განახლებულია სტრატეგია	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წლიური ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“		II კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი		240502		USAID Economic Security Program		„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი	
2.2	ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთათვის და დასაქმების მსურველთათვის ტრენინგების ორგანიზება - „შპმ პირთა მომსახურების უნარ-ჩვევები განთავსების ობიექტებისათვის და კოვიდ უსაფრთხოების რეგულაციები“.	გადმზადებულია 620 ადამიანი/ჩატარებულია ტრენინგი 31 ქალაქსა და კურორტზე	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წლიური ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“		III კვ.	20 000	20 000	240502				„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი	
2.3	შპმ პირთა ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდის - https://georgia.travel/ განახლება	განახლებულია და შპმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირებულია ვებ-გვერდი	https://georgia.travel/	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“		IV კვ.	1 100 000	1 100 000	240502				„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი	

3	მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერ სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის და დასაქმების ხელშეწყობა												
3.1	მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში შპმ პირთათვის დამატებითი ქულის მინიჭება	ცვლილება შესულია დადგენილებაში	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილება (მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი)	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
3.2	სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული პროცენტის სუბსიდირებისა და საკრედიტო საგარანტიო სქემის პროგრამების მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალში შპმ პირთა საქმიანობებზე მორგებული ეკონომიკური საქმიანობების დამატება	ცვლილება შესულია დადგენილებაში და დამატებულია შპმ პირთა საქმიანობებზე მორგებული საქმიანობის მინიმუმ 3 კოდი	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 (ინდუსტრიული ნაწილი) და 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
3.3	სახელმწიფო პროგრამაში „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ მონაწილე შპმ პირთა დამსაქმებელი მეწარმე სუბიექტის გათავისუფლება სქემის მომსახურების საკომისიოს გადახდის ვალდებულებისგან	ცვლილება შესულია დადგენილებაში	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილება	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
3.4	სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ტექნიკური დახმარების კომპონენტში სააგენტოს მიერ ტექნიკური დახმარების ხარჯის 80%-ის ნაცვლად 100 %-ით ანაზღაურება, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი, ტექნიკური დახმარების კომპონენტის მიზებიდან გამომდინარე: ა) დაატრენინგებს შპმ პირს; ბ) დასაქმებული ყავს შპმ პირი, გ) კადრს დაატრენინგებს შპმ პირთა საქმიანობების შესწავლის და მათთან ურთიერთობის მიზნებისათვის, დ) თუ შპმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციისგან იღებს ტრენინგს/კონსულტაციას	ცვლილება შესულია დადგენილებაში	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილება (ტექნიკური დახმარების კომპონენტი)	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
3.5	სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული პროცენტის სუბსიდირების პროგრამაში დაფინანსებული საწარმოებისათვის თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატებს შორის, შპმ პირისათვის უპირატესობის მინიჭების ვალდებულება დაკისრებულია	შეესულია შესაბამისი ცვლილება ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში	ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულება/სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						

4	ადაპტირებული ბიზნეს და საინფორმაციო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა												
4.1	სააგენტოს ოფიციალურ საიტზე ხმოვანი სიგნალებისა და ექსპორტის, ინვესტიციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების საპრომოციო ბეჭდური მასალების (ბუკლეტი, ჰენდაუთი და ა.შ) გამოცემა შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით	ადაპტირებულია საიტი და ბეჭდური მასალა	სააგენტოს ოფიციალური საიტი და შესაბამისი ბეჭდური მასალა, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
4.2	პროგრამაში ჩართვის ეტაპზე მონაწილეობის წინაპირობად ბიზნესის განხორციელების ადგილის შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისი ადაპტირების ვალდებულების განსაზღვრა	შესულია შესაბამისი ცვლილება დადგენილებაში	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 და 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „აწარმოე საქართველოში“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება												
5.1	საქართველოს აეროპორტებში შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი	ჩატარებულია ინსპექტირება 2-ჯერ	სააგენტოს წლიური ანგარიში	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: სსიპ „სამოქალაქო ავიაცია“		IV კვ.	ადმინისტრაციული ხარჯი						„სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვარის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანაგადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესი“
5.2	შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარება	რეაბილიტირებული ა კოპიტარის სადგური	მიღება-ჩაბარება	სს "საქართველოს რკინიგზა"		IV კვ.	1 500 000 ლარი დღგ-ს გარეშე			1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი დღგ-ს გარეშე	სს "საქართველოს რკინიგზა"		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1-1/586 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულება
5.3	სამგზავრო დოკუმენტების ელექტრონულად შესყიდვის პლატფორმაზე შშმ პირების მიერ ბილეთების შეძენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა	განახლებული და შშმ პირთა საჭიროებებზე ადაპტირებულია ვებ-გვერდი	საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდი	სს "საქართველოს რკინიგზა"		IV კვ.	1000 000 ლარი დღგ-ს გარეშე			1000 000 (ერთი მილიონი) ლარი დღგ-ს გარეშე	სს "საქართველოს რკინიგზა"		„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
6	ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ ს შესახებ ცნობიერების ამაღლება												
6.1	ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის შესახებ ტრენინგების ორგანიზება	გადამზადებულია მინიმუმ 300 ადამიანი	სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		IV კვ.	30 000 \$			30 000 \$	UNDP/ღია საზოგადოება საქართველო		